ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

გარე განათების მოვლა- პატრონობის მომსახურების შესყიდვა

ქალაქ ფოთი
სხდომას ესწრებოდნენ:

05.12. ---- --------- 2016 წელი

1. **ნიკოლოზ გრიგოლია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. **ლევან ჩოჩია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცევ-მერი (კომისიის წევრი);
3. **ვასილ თოდუა** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
4. **ზურაბ ჯამბურია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი (კომისიის წვრი).

კომისიის აპარატის წევრი:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი მაია სულავა, შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ამირან კაკულია;

დღის წესრიგი:

1. გარე განათების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, სატენდერო განცხადების ნიმუშის, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

განიხილეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 1 დეკემბრის დავალების (რეზოლუცია) შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარე განათების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების, ბიჯის განსაზღვრისა და დამტკიცების საკითხი;

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. გარე განათების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით;

2. დამტკიცდეს გარე განათების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების ნიმუში თანახმად დანართი 1,2-ისა;

3. გარე განათების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 6787,71 ლარი, დღგ-ს ჩათვლით, ბიჯი განისაზღვროს 67 ლარის ოდენობით.

4. სატენდერო კომისიის აპარატმა განახორციელოს ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ გრიგოლია

კომისიის წევრები:

ლევან ჩოჩია

ვასილ თოდუა

ზურაბ ჯამბურია